

## არქიტექტურა

### ტრადიციისა და ინოვაციის ჰარმონიული თანაარსებობა

#### იაპონური არქიტექტურის განვითარება



იაკუშიჯი ტაძრის აღმოსავლური პაგოდა (ნარას პრეფექტურა). ამ პაგოდის მშენებლობა დასრულდა ძვ. წ. 730 წელს.

ისტორიულად ჩინურმა არქიტექტურამ დიდი გავლენა იქონია იაპონურ არქიტექტურაზე, თუმცა მათ შორის არსებობს განსხვავებებიც. მაგალითად, ჩინურ შენობებში ექსტერიერისთვის გამოყენებული ხის მასალა, როგორც წესი, შეღებილია, ხოლო იაპონურ ნაგებობებში მას არ ღებავენ. ასევე, ჩინური არქიტექტურა დაფუძნებულია ჩინელების ცხოვრების სტილზე, რომელიც გულისხმობს სკამების გამოყენებას, ხოლო იაპონიაში ადამიანები ტრადიციულად იატაკზე სხდებიან, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტრადიცია მეიჯის პერიოდიდან (1868-1912 წწ.) შეიცვალა.

იაპონიაში არქიტექტურაზე ასევე დიდი გავლენა იქონია კლიმატმაც. იაპონიის უმეტეს ნაწილში ზაფხული გრძელი, ცხელი და ტენიანია და ეს კარგადაა ასახული სახლის შენების მეთოდზე. ტრადიციულად, იაპონური სახლი მიწიდან დაშორებით შენდებოდა, რომ ჰაერს კარგად გაეგლო ქვემოდან და კედლების გარშემო. მასალად ხეს ირჩევდნენ, რადგან ზაფხულში ის უფრო გრილია, ხოლო ზამთარში კი თბილი და მიწისძვრების დროს არაგამძლე.

ასუკას პერიოდში (593-710 წწ.) ჩინეთიდან იაპონიაში შემოვიდა ბუდიზმი და ბუდისტური სალოცავები კონტინენტურ სტილში შენდებოდა. ამის შემდგომ, ბუდისტურმა არქიტექტურამ უდიდესი გავლენა იქონია იაპონურ არქიტექტურაზე. ჰორიუჯის ტაძარი, რომელიც თავდაპირველად 607 წელს აშენდა და 670 წლისთვის ხანძრის შემდეგ რესტავრაცია განიცადა, მოიცავს ხის უძველეს ნაგებობებს, რომელიც მსოფლიოში უძველესია და 1993 წლიდან იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია შესული.

ნარას პერიოდში (710-794 წწ.) დედაქალაქი ჰეიჯოკო ისევე იყო გაშენებული, როგორც ჩინური დედაქალაქი. მაგალითად, ქუჩები განლაგებული იყო ჭადრაკის დაფასავით. იმ დროინდელი

იაპონური ტაძრები და სასახლეები ჩინური თანგის დინასტიის მიერ გამოყენებული სტილით იყო აშენებული.

ჰეიანის პერიოდში (794-1185 წწ.) ჩინურმა ელემენტებმა სრული ასიმილაცია განიცადა და განვითარდა ნამდვილი ეროვნული სტილი. არისტოკრატთა სახლები, ჰეიანკიოში, ახლანდელ კიოტოში, *შინდენ-ძუკურის* სტილში იყო აშენებული. ასეთ სახლებში ძირითადი ნაგებობები და საძინებელი ოთახი ცენტრში იყო განთავსებული და დანარჩენ მის გარშემო განლაგებულ ოთახებს კორიდორებით უკავშირდებოდა.

ბევრი ციხესიმაგრე აშენდა XVI საუკუნეში, როცა იაპონიის საზოგადოებაში ბატონობდნენ ფეოდალი დიდებულები. თუმცა ასეთი შენობების ძირითადი დანიშნულება სამხედრო იყო, ის ასევე გამოიყენებოდა ადგილობრივი დიდებულების პრესტიჟის ასამაღლებლად. რამდენიმე მათგანი დღესაც შემორჩენილია და დიდ მოწონებას იმსახურებს, განსაკუთრებით მათი *ტენშიუკაკუს* (დონჟონი) გამო. ციხესიმაგრეებში და ბუდისტურ ტაძრებში არსებული საცხოვრებელი ადგილები ძირითადად ადგილობრივი არქიტექტურული სტილით იყო აშენებული და ცნობილია შოინ-ძუკურის სახელით. ეს სტილი მოიცავდა ახალ მახასიათებლებს, მაგალითად, ნახევრადგამჭვირვალე და სინათლეგაუმტარი ქაღალდის ტიხრების (*შიოჯი და ფუსუმა* შესაბამისად) გამოყენებას და ლერწმის ჭილოფებს (ტატამი), რომლებიც დღესაც ტრადიციული იაპონური სახლის მთავარი ელემენტებია. ამ სტილის ყველაზე შთამბეჭდავი ნიმუშია კიოტოში არსებული ნიჯიო ციხესიმაგრის ნინომარუ სასახლე, რომელიც XVII საუკუნეშია აგებული.

XVII საუკუნეში *შოინ-ძუკურის* სტილი შეერწყა *სუკიას* მახასიათებელ ნიშნებს. ეს იყო ჩაის სახლი ჩაის ცერემონიისათვის, რომელიც სპეციალურად შეიქმნა ადგილობრივი არქიტექტურის *სუკია-ძუკურის* სტილში. ამ სტილს ახასიათებდა დელიკატური მგრძნობელობა, გრაციოზული ხის ელემენტები და უორნამენტო სისადავე. ამ სტილის ნიმუშია კიოტოში არსებული კაცურას განცალკევებული სასახლე, რომელიც ცნობილია ნაგებობის ჰარმონიული შერწყმით ბალის ლანდშაფტთან.

## ბუდისტური არქიტექტურა

VI საუკუნეში იაპონიაში ბუდიზმის გავრცელებასთან ერთად იგებოდა ბუდისადმი სალოცავი ტაძრები. მათი არქიტექტურული ფორმები სათავეს ჩინეთიდან და კორეიდან იღებდა. ცალკეულ ტაძრის კომპლექსში რამდენიმე ნაგებობა იყო აღმართული ბერძონაზვნებისათვის, რომლებიც იქ ცხოვრობდნენ და ასევე სპეციალური ადგილი იყო გამოყოფილი მომლოცველების თავშესაყრელად.

VIII საუკუნეში შენობათა ერთობლიობა სულ 7 ძირითად ნაგებობას მოიცავდა: პაგოდა, ძირითადი დარბაზი, აუდიტორია, სამრეკლო, სუტრების საცავი, საერთო საცხოვრებელი და

სასადილო. ტაძრის კომპლექსი გარშემორტყმული იყო მიწის კედლისგან და ყველა მხარეს ჰქონდა მისთვის დამახასიათებელი ორსართულიანი ჭიშკრები.

მთავარ დარბაზში შედიოდა ყველაზე გამორჩეული თაყვანისცემის საგანი. სალექციო დარბაზი, რომელიც ადრეულ ტაძარებში, როგორც წესი, იყო ძალიან დიდი აგებულების და გამოიყენებოდა ბერმონაზვნების მიერ როგორც სასწავლო და სამეცადინო ოთახი და აქვე აღასრულებდნენ რელიგიურ რიტუალებს.

იმ დროისთვის კომპლექსის ორი სახეობა იყო დომინანტური: ერთი იყო საათებით გაწყობილი, რომელიც ყოველდღე აცხადებდა დროს რელიგიური წესჩვეულებისთვის, მეორე კი წარმოადგენდა ლოცვის ანუ სუტრას ტექსტების შესანახ ადგილს. შენობის მომიჯნავე ტერიტორიაზე კი განთავსებული იყო სატრაპეზოები და საერთო საცხოვრებლები.

სატაძრო კომპლექსის ნაგებობები შესაბამის გეომეტრიულ მოდელზე იყო ძირითადად აგებული რელიგიურ მიმდინარეობათა შორის არსებული ვარიაციის გათვალისწინებით. მაგალითად, ძენის ტაძრის ძირითადი ნაგებობები ხშირად ერთ ხაზზე იყო განლაგებული და ერთმანეთთან გადახურული კორიდორებით იყო დაკავშირებული, ხოლო ბუდას წმინდა მიწის ტაძრის კომპლექსში კი ხშირად იყო წყალსატევები და ბალები.

### შინტოს არქიტექტურა



#### იძუმოს სალოცავი

სურათზე აღბეჭდილია მთავარი სალოცავის ნაგებობა (ჰონდენი). ეს შიშინეს პრეფექტურის მთავარი სალოცავია. იგი ტაიშა-ძუკურის სტილშია შესრულებული. ეს ნაგებობა აიგო 1744 წელს და ასახავს კოფუნის პერიოდის (300-710 წწ.) საცხოვრებელი ნაგებობის სტილს. (იძუმოს სალოცავის ფოტოებიდან)

ლომისმაგვარი ფიგურები, დადგმულია კარიბჭის წინ ან სალოცავების ძირითადი დარბაზის წინ და ეს ფიგურები განასახიერებენ სალოცავის მფარველებს.

შინტოს მიმდევრებს სწამთ, რომ *კამი* (ღვთაება) არსებობს ნებისმიერი ბუნების ობიექტსა თუ ფენომენში, დაწყებული მოქმედი ვულკანებიდან და ლამაზი მთებიდან, დამთავრებული ხეებით, კლდეებით და ჩანჩქერებით. *შინტოს* სალოცავები არის ადგილები, სადაც *კამი* სათუთადაა დაცული და სადაც ადამიანებს შეუძლიათ მათი თაყვანისცემა.

სალოცავი ნაგებობები არ ექვემდებარება გარკვეულ წესებს, არამედ გარემოს მიხედვითაა მოწყობილი. გამორჩეული ტორის კარიბჭიდან ბილიკი მიუყვება მთავარ სალოცავ ნაგებობას, სადაც გზას ქვის ფარნები მიგვანიშნებენ. სალოცავის მიმდებარე ტერიტორიის სიწმინდის შესანარჩუნებლად, წყლის აუზები სპეციალურადაა გათვალისწინებული, სადაც თაყვანისმცემლები იბანენ ხელსა და პირს. *კომაინუ*,



დროებითი დარბაზები სპეციალურად აიგო განსაკუთრებულ შემთხვევებში *კამის* დასაბრძანებლად. ამ სტილის შენობები გადმოცემით ჩვ. წ. აღ-მდე 300 წლით თარიღდება. ოსაკაში სუმიოშის სალოცავის მთავარი ნაგებობა მსგავსია ე. წ. *კამის* დროებითი სავანე-ნაგებობის სტილის და ფიქრობენ, რომ ის ანტიკური რელიგიური შენობების გარეგნულ მსგავსებას ინარჩუნებს.

მთავარი დარბაზის სადა სახე მომდინარეობს პრეისტორიული იაპონიის ბელლებისა და საგანძურის საცავი ნაგებობების სტილისგან. ამ სტილის საუკუთესო ნიმუშია ისეს სალოცავი მიე-ს პრეფექტურაში. მისი შიდა სალოცავი ეძღვნება მზის ქალღმერთს, *ამატერასუ ომიკამის*. მისი გარეთა სალოცავი კი - მარცვლეულის ქალღმერთს, *ტოიოუკე ნო ომიკამის*.

საცხოვრებელი არქიტექტურის ელემენტები თვალნათლივ ჩანს იძუმოს სალოცავის მთავარ ნაგებობაში, რომელიც შიშანეს პრეფექტურაში მდებარეობს. აქ სვეტები პირდაპირ მიწაშია ჩამაგრებული და სართულები აწეულია ნიადაგიდან.

შინტოსადმი თაყვანისცემის ბუნება შეიცვალა მას შემდეგ, რაც ბუდიზმი გავრცელდა იაპონიაში და სალოცავების ნაგებობებმა ბუდისტური არქიტექტურის გარკვეული ელემენტები ისესხეს. მაგალითად, ბევრი სალოცავი შეიღება ჩინურ სტილში: წითელი სვეტები და თეთრი კედლები.

არსებობდა სალოცავების რეგულარული რეკონსტრუქციის ტრადიცია, რათა გაწმენდილიყო ადგილი და განახლებულიყო მასალა (ეს პრაქტიკა ეხლაც ძალაშია ისეს სალოცავში ყოველ 20 წელიწადში ერთხელ). ამ მიზეზისა და ასევე ხანძრებისა თუ სხვა სტიქიური უბედურების გამო, ყველაზე ძველი შემორჩენილი ნაგებობები განეკუთვნება XI და XII საუკუნეებს.

## დიზაინის კონცეპტი



**ჰიმეჯი**

მდებარეობს ქალაქ ჰიმეჯიში, ჰიოგოს პრეფექტურა. ჰიმეჯის ციხე ცნობილია სახელით “თეთრი ყანჩას ციხე” მისი თეთრი კედლების გამო. (ფოტო Getty Images-სგან)

იაპონური სახლების ინტერიერი თავდაპირველად მოიცავდა ღია სივრცეს, ტიხრებიც კი არ გააჩნდა ცალკეული სივრცეების გამოსაყოფად. მას შემდეგ, რაც გაჩნდა ცალკეული სივრცეების გამოყოფის აუცილებლობა, სხვადასხვა დანიშნულებისთვის (ჭამა, ძილი, ჩაცმა და ა. შ.), თანდათან მოხმარებაში შემოვიდა იატაკზე დასადგამი ტიხარი (*ბიობუ*). მას მოჰყვა *შიოჯისა* და *ფასუმას* გამოყენება, რაც დღევანდელ სახლებშიც გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ ტიხრის ეს სახეობები ხმის საიზოლაციოდ ნაკლებად გამოიყენებოდა, ის ქმნიდა სიმყუდროვის შეგრძნებას და ამასთან ერთად ადვილი იყო მისი აღება-გადაადგილება სივრცის კვლავ გასაერთიანებლად.

აღსანიშნავია, რომ ტიხრის სახეობებიდან მხოლოდ შიოჯი ატარებს სინათლეს.

ინტერიერისა და ექსტერიერის ხედვის მანერა იაპონური ტრადიციული დიზაინის მეორე მთავარი ასპექტია. იმის მაგივრად, რომ ინტერიერი და ექსტერიერი ორ განსხვავებულ ერთეულად აღიქმებოდეს, იაპონურ ტრადიციაში ეს ორი ერთმანეთის გაგრძელებად აღიქმება. ეს კონცეპტი განსხვავებულია იაპონურ ვერანდაში (*ენგავა*), რომელიც გარკვეულწილად გარდამავალ სივრცეს წარმოადგენს სახლის შიდა და გარე ნაწილებს შორის. ე. წ. *ნურე-ენ-ი*, რომელიც სახლის გვერდზეა და წვიმის დროს სველდება, ენგავას ვარიაციას წარმოადგენს.

ესთეტიური თვალსაზრისით, ტრადიციული სახლი შექმნილია ადამიანებისთვის, რომლებიც იატაკზე სხედან და არ დგანან; კარებებიცა და ფანჯრებიც ისეა განლაგებული სახლში, რომ მჯდომარეთათვის კარგად მოჩანდეს სახლის მიმდებარე ბაღი.

მიუხედავად იმ ცვლილებებისა, რომელიც სახლის სტილის მოდერნიზაციამ გამოიწვია, ტრადიციული იაპონური სტილი არ გამქრალა. პროდასავლურ სახლებში კი კვლავაც შეხვდებით ოთახს, რომლის იატაკიც დაფარულია ტატამით, და ჯერ კიდევ შემორჩენილია სახლში შესვლამდე ფეხსაცმლის გახდის ტრადიცია.

### თანამედროვე არქიტექტურა



**კაიჩის დაწყებითი სკოლა**  
ამ სკოლის შენობა, აშენებული 1876 წელს (მაცუმოტო, ნაგანოს პრეფექტურა, ადრეული თანამედროვე იაპონური არქიტექტურის ჰიბრიდული სტილის კარგად დაცული ნიმუშია. (ფოტო Getty Images-სგან)

თანამედროვე არქიტექტორული ტექნოლოგიები იაპონიაში შევიდა მეიჯის რესტავრაციის დაწყების შემდეგ, 1868 წელს. პირველი შენობების არქიტექტურა იყო ტრადიციული იაპონური ხის კონსტრუქციებისა და დასავლური დიზაინის ნაზავი. ნაგანოს პრეფექტურის ქალაქ მაცუმოტოში მდებარე კაიჩის დაწყებითი სკოლა (1876 წ.) არის ამგვარი ჰიბრიდული მიდგომის ნიმუში, რომლის მიხედვით მთელს იაპონიაში აშენდა სკოლები.

1880 წელს რეაქციონერულმა ძალებმა, რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ პროდასავლური მიმართულების, აზიურ ტექნოლოგიებსა და სტილს გაუწიეს პროპაგანდა არქიტექტურაში. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ტრადიციულმა იაპონურმა არქიტექტურამ განიცადა გადაფასება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამერიკელი ფრანკ ლოიდ რაითი (1869-1959 წწ.) და გერმანელი ბრუნო ტაუტი (1880-1938 წწ.) მოღვაწეობდნენ იაპონიაში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონურ არქიტექტურაში ტრადიციულ და თანამედროვე სტილთა შეჯერების გამუდმებული მცდელობა იყო. ტანგე კენძომ, იაპონიის ყველაზე ცნობილმა და გავლენიანმა ომისშემდგომმა არქიტექტორმა შეძლო ტრადიციული იაპონური ელემენტების შერწყმა თანამედროვე ტექნოლოგიურ მიღწევებთან. 1950–60-იან წლებში მან შექმნა რამდენიმე საოცარი შენობა იოიოგის ეროვნული სტადიონის ჩათვლით, რომელიც ტოკიოში 1964 წელს ჩატარებული ოლიმპიური თამაშებისთვის შეიქმნა.



ტოკიოს სადგურის მარუნოუჩის შენობა მისი ძველი დიდებულება აღდგენილია.

ტოკიოს სადგურმა, რომელიც პირველად 1914 წელს აშენდა დასავლური არქიტექტურის გავლენით, რამდენჯერმე განიცადა რეკონსტრუქცია. 2012 წელს მან თავდაპირველი სახე დაიბრუნა.

იაპონიაში, სადაც მიწისძვრები ხშირია, მიწისძვრის გამძლე შენობების აგება ყოველთვის მთავარ



ტოკიოს ცათამბჯენი მსოფლიოში ყველაზე მაღალი სამაუწყებლო კოშკი

პრობლემას წარმოადგენდა არქიტექტურაში. პირველი ცათამბჯენი იაპონიაში, კასუმიგასეკის შენობა, დასრულდა 1968 წელს; მშენებლობისას გამოყენებული იყო მიწისძვრის გამძლე ტექნოლოგია. ამის შემდეგ აშენდა რამდენიმე ცათამბჯენი, მათ შორის, ნიში-შინჯიუკუ ტოკიოში (1971 წწ.) და საორიენტაციო კოშკი (1993, 296 მეტრის სიმაღლის) იოკოჰამაში.

ისოძაკი არატამ, რომელიც ტანგეს ხელმძღვანელობის ქვეშ მუშაობდა არქიტექტორული პრიორიტეტები მიმართა არაკომერციული მოგებისკენ. მისმა მოღვაწეობამ და ნაწერებმა დიდი გავლენა იქონია ახალგაზრდა თაობის არქიტექტორებზე. 1970-იან წლებში ასევე დიდი ყურადღება ეთმობოდა ხელოვნებას არქიტექტურაში და გადახვევას არსებული ტექნოლოგიებისგან.

ადგილობრივი არქიტექტორები გამალებით მუშაობდნენ 1980–იან წლებში, ისევე როგორც გამოჩენილი უცხოელი არქიტექტორები, რომელებიც მიწვეულნი იყვნენ იაპონიაში სამუშაოდ. 1990–იანი წლების დასაწყისში ეკონომიურმა კრიზისმა არქიტექტორული ინდუსტრია შეანელა. მიუხედავად ამისა, ბევრი იაპონელი არქიტექტორი ცნობილია იაპონიაშიც და საზღვარგარეთაც. ამასთან, ბევრი უცხოელი არქიტექტორი ეწევა თავის საქმიანობას იაპონიის დიდ ქალაქებსა და რაიონებში. 1990-იანი წლების ნამუშევრებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა რაფაელ ვინოლის ტოკიოს საერთაშორისო ფორუმი (1997 წ.) და ტანგე კენძოს ტოკიოს დედაქალაქის სამთავრობო ოფისები (1991 წ.).

1980-90-იან წლებში იაპონელ არქიტექტორებს საზღვარგარეთ იწვევდნენ სამუშაოდ. მათ შორის იყვნენ: ისოძაკი, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის (1986 წ.) ავტორი ლოს ანჯელესში. ტანგე, სინგაპურის (1986 წ.) ცენტრის ავტორი, კუროკავა კიშიო, მშვიდობის კოშკის ავტორი (1992 წ.) პარიზში, და ანდო ტადაო, სამედიტაციო სივრცის (1995 წ.) ავტორი, რომელიც მდებარეობს

იუნესკოს კომპლექსში, პარიზში. ანდო განსაკუთრებით კარგად მიიღეს საზღვარგარეთ. მას რამდენიმე საერთაშორისო პრიზიც აქვს აღებული, მაგალითად, ჰაიატის ფონდის მიერ დაწესებული პრიცკერის პრემია არქიტექტურაში; ოქროს სამეფო მედალი (1997 წ.), რომელიც გაცემულია ბრიტანეთის სამეფო არქიტექტურის ინსტიტუტის მიერ. გარდა ამისა, სეჯიმა კაძუიომ და ნიშიძავა რიუემ ერთად მიიღეს პრიცკერის პრემია 2010 წელს, მათი საერთო



ეროვნული ხელოვნების ცენტრი, ტოკიო  
ტოკიოს როპონგიში 2007 წელს გაიხსნა ინოვაციური ეროვნული ხელოვნების ცენტრი. შენობა შეიქმნა არქიტექტორ კუროკავა კიშიოს მიერ. ამ ცენტრს აქვს გამოფენებისთვის უდიდესი სივრცე მთელს იაპონიაში. (ფოტო Getty Images- სგან)

ფირმის, „სანაას“ მიერ შექმნილი გამორჩეული ნამუშევრებისთვის, რომელთა შორის აღსანიშნავია ოგასავარას მუზეუმი (იდა, ნაგანოს პრეფექტურა, 1999 წ.) და კანამავას, XXI საუკუნის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი (იშიკავას პრეფექტურა, 2004 წ.).

2012 წელს ტოკიოს ცათამბჯენმა, მსოფლიოში ყველაზე მაღალმა 634 მეტრიანმა მაუწყებლობის კომპმა დაიწყო კომერციული საქმიანობა. იგი თავიდან ბოლომდე ელევანტური სილუეტის მქონეა. ამ შენობის აგებისას გამოყენებულია ტრადიციული იაპონური არქიტექტურული ტექნოლოგია, რომელიც იყენებს “ქსელურ” და “ხვეულ” ფორმებს. იგი წარმოადგენს ტოკიოს ახალ ღირსშესანიშნაობას, რომლის ხედი იცვლება იმის მიხედვით, თუ სად დგას მაყურებელი და რომელი კუთხიდან შესცქერის მას.